ფოპტნეტი
FOPTNET

შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი"
"Fiber-Optic Telecommunication Network-FOPTNET" Ltd

ED-09/21
20.01.2009

საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელს ქ-ნ ს. ბრიტანჩუკს

ქალბატონო სოფიო,

შ.პ.ს. "ფოპტნეტი" წარმოგიდგენთ განახლებულ მოწვევის ოფერტას შ.პ.ს. "ფოპტნეტის" მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების შესახებ.

გთხოვთ გამოაქვეყნოთ მოწვევის ოფერტა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ-გვერდზე.

პატივისცემით,

აღმასრულებელი დირექტორი კოტე სამუშია

6/89-09
20 01 09
1+4

საქართველო, თბილისი 0186, ჯიქიას 16, I სართ. ტელ.: (995 32) 779512 ფაქსი (995 32) 329754 e-mail: office@foptnet.ge
ფოპტნეტი FOPTNET
16, Jikia street, I floor, 0186 Tbilisi, Georgia tel.: (995 32) 779512 fax: (995 32) 329754 e-mail: office@foptnet.ge

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის მიერ ავტორიზებულ პირებს

# მოწვევის ოფერტა

## შპს „ფოპტნეტი"-ს მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვების შესახებ

*(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს #498/9 გადაწყვეტილების შესაბამისად)*

20 იანვარი 2009წ.

## ნაწილი 1. *(გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის ა.ა) ქვეპუნქტის შესაბამისად)*

*საქალაქთაშორისო მიმართულებები*

| შპს „ფოპტნეტი"-ს კუთვნილ ფართებზე განლაგებული სადგურები | მულტიპლექსორის ტიპი | რესურსი (2,048მბიტ/წმ პორტები) | დატვირთული 2,048მბიტ/წმ პორტები | თავისუფალი 2,048მბიტ/წმ პორტები |
|---|---|---|---|---|
| დმანისი, წმინდა ნინოს 50 | SMA4, Siemens | 21 | 0 | 21 |
| ბოლნისი, სულხან-საბას 136 | SMA4, Siemens | 21 | 2 | 19 |
| გორი, სტალინის 9 | SMA4, Siemens | 21 | 3 | 18 |
| ხაშური, რუსთაველის 2 | SMA4, Siemens | 42 | 6 | 36 |
| ზესტაფონი, აღმაშენებლის 37 | SMA4, Siemens | 21 | 2 | 19 |
| სამტრედია, თამარ მეფის 4 | SMA4, Siemens | 21 | 2 | 19 |

*საერთაშორისო მიმართულებები*

| სადგური | მულტიპლექსორი | რესურსი (2,048მბიტ/წმ პორტები) | დატვირთული 2,048მბიტ/წმ პორტები | თავისუფალი 2,048მბიტ/წმ პორტები |
|---|---|---|---|---|
| თბილისი, ჯიქიას 16 | Surpass Hit7070, Siemens | 126 | 27 | 99 |

## ნაწილი 2. (გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის ა.ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად)

*საქალაქთაშორისო მიმართულებები*

| მონაკვეთი /პუნქტი ა) – პუნქტი ბ)/ | ავტორიზებული პირების 2,048მბიტ/წმ არხით მომსახურების ტარიფი (ლარი, დღგ-ს ჩათვლით) | |
|---|---|---|
| | საინსტალაციო გადასახადი | ყოველთვიური გადასახადი |
| თბილისი-დმანისი | 1 000,00 | 900,00 |
| თბილისი-ბოლნისი | 1 000,00 | 900,00 |
| თბილისი-გორი | 1 000,00 | 900,00 |
| თბილისი-ხაშური | 1 000,00 | 1 300,00 |
| თბილისი-ზესტაფონი | 1 000,00 | 2 100,00 |
| თბილისი-ქუთაისი | 1 000,00 | 2 700,00 |
| თბილისი-სამტრედია | 1 000,00 | 2 700,00 |
| თბილისი-ფოთი | 1 000,00 | 3 300,00 |
| თბილისი-ზუგდიდი | 1 000,00 | 3 300,00 |
| თბილისი-ბათუმი | 1 000,00 | 3 900,00 |
| ორ მეზობელ პუნქტს შორის | 1 000,00 | 900,00 |

*საერთაშორისო მიმართულებები, ნაწილი 1*

| მონაკვეთი /პუნქტი ა) – პუნქტი ბ)/ | ავტორიზებული პირების 2,048მბიტ/წმ არხით მომსახურების ტარიფი (ლარი, დღგ-ს ჩათვლით) | |
|---|---|---|
| | საინსტალაციო გადასახადი | ყოველთვიური გადასახადი |
| ფოპტნეტი*-აზერბაიჯანის საზღვარი | 1 000,00 | 3 300,00 |
| ფოპტნეტი*-სომხეთის საზღვარი | 1 000,00 | 3 300,00 |
| ფოპტნეტი*-ნოვოროსისკი არხების სახმელეთო ნაწილი | 1 000,00 | 3 300,00 |
| ფოპტნეტი*-ნოვოროსისკი არხების საზღვაო ნაწილი | ფასების დადგენა ხორციელდება სამმხრივი კონსორციუმის მიერ | |

*საერთაშორისო მიმართულებები, ნაწილი 2*

| მონაკვეთი /პუნქტი ა) – პუნქტი ბ)/ | ავტორიზებული პირების 2,048მბიტ/წმ არხით მომსახურების ტარიფი (პირობითი ერთეული - აშშ დოლარი, დღგ-ს ჩათვლით) | |
|---|---|---|
| | საინსტალაციო გადასახადი | ყოველთვიური გადასახადი |
| ფოპტნეტი*-ფრანკფურტი, საერთაშორისო კვანძი | 3 200,00 | 9 200,00 |
| ფოპტნეტი*-ლონდონი, საერთაშორისო კვანძი | 3 200,00 | 9 200,00 |
| ფოპტნეტი*-სტოკჰოლმი, საერთაშორისო კვანძი | 3 200,00 | 9 200,00 |
| ფოპტნეტი*-მოსკოვი, M9/M10 | 2 600,00 | 10 800,00 |
| ფოპტნეტი*-სანკტ-პეტერბურგი, საერთაშ. კვანძი | 2 600,00 | 11 350,00 |

განმარტება - ფოპტნეტი* : იგულისხმება შპს „ფოპტნეტი"-ს სადგურები საქართველოს ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში სადაც არსებობს საერთაშორისო არხების ორგანიზების საშუალება.

## *სპეციალური შეთავაზება:*

მომხმარებლის მიერ ერთ მონაკვეთზე 21-ზე მეტი 2,048მბიტ/წმ არხის მოხმარების შემთხვევაში ამ არხებიდან თითოეულზე გავრცელდება 10% ფასდაკლება.

საავანსო ანგარიშსწორების პირობით გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში შესაბამის არხებზე გავრცელდება სპეციალური ფასდაკლება.

## ნაწილი 3. (გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის ა.გ) ქვეპუნქტის შესაბამისად)

3.1. მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურების მსურველმა პირებმა უნდა წარმოადგინონ წერილობითი განაცხადი, მონაკვეთების მიხედვით არხების რაოდენობის და მომსახურებით სარგებლობის დაწყების სასურველი თარიღის მითითებით.

3.2. განაცხადის მიღებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში შეფასებული იქნება მისი დაკმაყოფილების ტექნიკური შესაძლებლობა და მოხდება განმცხადებლის წერილობითი ინფორმირება შედეგების შესახებ.

## ნაწილი 4. (გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის ა.დ) ქვეპუნქტის შესაბამისად)

საანგარიშო პერიოდი: 2007 წელი

| დასახელება | დანახარჯი (ლარი) |
|---|---|
| საიჯარო ქირა | 166 801,00 |
| არხების იჯარა | 131 128,00 |
| ამორტიზაცია | 3 108 251,00 |
| მაგისტრალზე გაწეული დანახარჯები | 3 431 645,00 |
| მაგისტრალის რეკონსტრუქციის, აპარატურის განახლების და ახალი საკაბელო მონაკვეთების მშენებლობის ხარჯები | 4 160 948,00 |
| ს უ ლ | 10 998 773,00 |

## ნაწილი 5. (გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის ა.ე) ქვეპუნქტის შესაბამისად)

5.1. იმ შემთხვევაში, თუ მე-3 ნაწილის 3.2. პუნქტის შესაბამისად, განაცხადის დაკმაყოფილების ტექნიკური საშუალება არსებობს, განმცხადებელი, წერილობით შეტყობინებასთან ერთად, მიიღებს შესავსებად მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურებაზე ხელშეკრულების ტექსტს, რომლის ორმხრივად ხელმოწერის შემდეგ განხორციელდება მისთვის მომსახურების მიწოდება.

5.2. მომსახურების და შესაბამისად საფასურის დარიცხვის დაწყების თარიღი აისახება მომსახურების დაწყების აქტში, რომელიც გაფორმდება მომსახურების დაწყების დღიდან არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღის განმავლობაში.

## ნაწილი 6. (გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის ა.ვ) ქვეპუნქტის შესაბამისად)

6.1. მომხმარებლის მოწყობილობის განლაგება, თავისუფალი ფართის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია შპს „ფოპტნეტი"-ს კუთვნილ ფართებზე: დმანისში (წმინდა ნინოს 50), ბოლნისში (სულხან-საბას 136), გორში (სტალინის 9), ხაშურში (რუსთაველის 2), ზესტაფონში (აღმაშენებლის 37), სამტრედიაში (თამარ მეფის 4). რაც შეეხება თბილისს, ქუთაისს, ფოთს, ზუგდიდს და ბათუმს – აქ შპს „ფოპტნეტს" არ გააჩნია საკუთარი ფართი და შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს მომხმარებლის მოწყობილობის განთავსებას და მესამე პირის კაბელის შეყვანას.

6.2. შპს „ფოპტნეტი" უზრუნველყოფს მის კუთვნილ ფართებზე განლაგებული მოწყობილობის დაცვას არასანქცირებული შეღწევისგან, ელექტრო კვებას ცვლადი დენის წყაროებიდან და საჭიროების შემთხვევაში – კონდიცირებას. მომხმარებლის ავტორიზებული პერსონალის დაშვება განხორციელდება მომსახურების მიმწოდებელთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

6.3. შპს „ფოპტნეტი"-ს კუთვნილ ფართებზე მოწყობილობის განლაგების საფასური შეადგენს: 1მX1მX1მ ტოლი ან ნაკლები გაბარიტების მქონე მოწყობილობებზე 700,00 (შვიდას) ლარს თვეში დღგ-ს ჩათვლით, ხოლო ნებისმიერი განზომილების დამატებით ყოველ 0,5მ-ზე 100,00 (ას) ლარს თვეში დღგ-ს ჩათვლით.

6.4. მოწყობილობის ელექტრო კვების და კონდიცირების საფასურს მომხმარებელი გადაიხდის მრიცხველის ანარიცხების შესაბამისად.

## ნაწილი 7. (გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის ა.ზ) ქვეპუნქტის შესაბამისად)

შპს „ფოპტნეტი" უზრუნველყოფს მის კუთვნილ ფართებზე განლაგებული მომხმარებლის მოწყობილობის ექსპლუატაციის სათანადო პირობებს.

## ნაწილი 8. (გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის ა.თ) ქვეპუნქტის შესაბამისად)

მე-5 ნაწილის შესაბამისად მომსახურებით სარგებლობის დროს მომხმარებლისთვის დამატებითი რესურსის გამოყოფა (ასეთის არსებობის პირობებში) განხორციელდება წერილობითი განაცხადის წარმოდგენიდან არაუგვიანეს სამი დღის ვადისა, ხელშეკრულების დანართის და მომსახურების დაწყების აქტის ხელმოწერის საფუძველზე.

## ნაწილი 9. (გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის ა.ი) ქვეპუნქტის შესაბამისად)

9.1. ფორს-მაჟორული ვითარების ზემოქმედების შედეგად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა არ ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად, რაც გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულების ტექსტში.

9.2. მომსახურების მიმწოდებლის მიზეზით მომსახურების გაუფრთხილებლად შეწყვეტის შემთხვევაში ექვს მიმდევრულ საათზე მეტი ხანგრძლივობით, მორიგი თვის გადასახადი შემცირდება შემდეგი ფორმულის შესაბამისად გაანგარიშებული კომპენსირების თანხის ოდენობით: P=S*(Hu-6)/Ht სადაც S არის გათიშული ტრაქტის მოხმარების ყოველთვიური საფასური, Hu არის მომსახურების შეწყვეტის ხანგრძლივობა, Ht არის საათების რაოდენობა შესაბამისი თვის განმავლობაში.

## ნაწილი 10. (გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის ა.კ) ქვეპუნქტის შესაბამისად)

მხარეები სამუშაო რეჟიმში შეათანხმებენ და გააფორმებენ ხელშეკრულებას მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურებაზე მე-5 ნაწილის 5.1. პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების ტექსტის განმცხადებლისთვის გადაცემის შემდეგ.

## ნაწილი 11. (გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის ა.ლ) ქვეპუნქტის შესაბამისად)

წინამდებარე მოწვევის ოფერტა ძალაშია გამოქვეყნებიდან 6 თვის განმავლობაში.

## ნაწილი 12. (გადაწყვეტილების მე-12 პუნქტის შესაბამისად)

თავისუფალი ბოჭკოების კრიტიკულად შეზღუდული რაოდენობის გამო, ოპტიკური წყვილებით მომსახურების საშუალება არ გაგვაჩნია.

შპს „ფოპტნეტი"-ს აღმასრულებელი დირექტორი კოტე სამუშია

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0186, ჯიქიას ქ.16, I სართული

ტელეფონი: 779512

ფაქსი: 329754

ელ.ფოსტა: office@foptnet.ge